შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

ქ. თბილისი 18 ნოემბერი, 2016 წელი

ერთი მხრივ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში _ შემსყიდველი), წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერი) ლაშა აბაშიძის სახით და მეორე მხრივ, შპს „ზიმო" (შემდგომში _ მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის ზურაბ კიკნაძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შეთანხმების საგანი

1. ვინაიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „ზიმო"-ს შორის 2016 წლის 7 ივნისს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N2.11.2/10/324 ხელშეკრულებით *(ქ. თბილისში, წყნეთი-ახალდაბის დამაკავშირებელი გზის (კმ 2 + 400) დაზიანებული მონაკვეთის აღდგენის სამუშაოების შესყიდვა)* გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელება მიზნად ისახავს სტიქიის (მეწყერის) შედეგების ლიკვიდაციას, მიმწოდებელი გამოთქვამს სურვილს, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, აღნიშნული სამუშაოები შესრულდეს უსასყიდლოდ, კომპანიის ხარჯებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ხელშეკრულების მონაწილე მხარეები - შემსყიდველი და მიმწოდებელი - ვთანხმდებით:

1.1 2016 წლის 18 ნოემბრიდან, ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, შეწყდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „ზიმო"-ს შორის 2016 წლის 7 ივნისს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N2.11.2/10/324 ხელშეკრულება.

საფუძველი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის 2016 წლის 18 ნოემბრის N10-18/62068 სამსახურებრივი ბარათი.

2. შეთანხმების მოქმედების ვადა

2.1 წინამდებარე შეთანხმება მოქმედებს მასზე ხელის მოწერის დღიდან.

2.2 შეთანხმება წარმოადგენს მხარეთა შორის 2016 წლის 7 ივნისს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N2.11.2/10/324 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.

2.3 ხელშეკრულების ყველა სხვა პირობა რჩება უცვლელი.

3. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

<u>შემსყიდველი:</u>	<u>მიმწოდებელი:</u>
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია	შპს „ზიმო"
ს/კოდი: 204521794	ს/კოდი: 211338015
მერის პირველი მოადგილე (ვიცე-მერი)	დირექტორი
ლ. აბაშიძე	ზ. კიკნაძე